**დღის ნომერში 8**

# მედ მთელს კავშირში დააგიჯებს
# გივი ნოდიას 26 გოლი
# კორნეთიმ, პანომ და სმეიკალმა...



ამ სურათზე აღბეჭდილია ტარტუს „კალევისა" და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდის შეხვედრის მომენტი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურების მატჩების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 250 (4760)

1972 წ. 19 დეკემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


**ტელეფონით**

# ნონას თასი გადასცეს

გუშინწინ ჩვენი კორესპონდენტი კვლავ დაუკავშირდა ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV გათამაშების საბოლოო შედეგების გასაგებად. მსოფლიო ჩემპიონმა მას უამბო:

— გუშინ დღისით მხოლოდ სამი შეხვედრის შედეგი გადმოგეცით, მერე დანარჩენი პარტიებიც დამთავრდა: ივანკამ მოუგო კონარკოვსკა-სოკოლოვას, მერლინიმ — ვეტშტაინს, ერენსკამ — ტიმერს.

საბოლოოდ სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: I. გაფრინდაშვილი — 9 ქულა, II-IV. ალექსანდრია, ვერეცი, ივანკა (ორივე — უნგრეთი) — 8-8; V. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 6,5, VI-VII. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), პიხაილიჩი (იუგოსლავია) — 5,5-5,5, VIII-IX. კონარკოვსკა-სოკოლოვა (იუგოსლავია), მერლინი (საფრანგეთი) — 4-4, X-XI. ერენსკა (პოლონეთი), ტიმერი (ჰოლანდია) — 3,5-3,5, XII. ვეტშტაინი (შვეიცარია) — 0,5.

გუშინ საღამოს ტურნირი საზეიმოდ დაიხურა და თასი გადმომცეს. ამ დილით ბელგრადს მივემგზავრებით, სადაც ოთხ დღეს დავრჩებით. შევხვდებით იუგოსლაველ გულშემატკივრებს. თბილისში პარასკევს დავბრუნდებით.

17 დეკემბერი.

**ჩვენი კომენტარი**

ჭადრაკის საბჭოთა ქომაგებისთვის ტურნირი ვრნიაჩკა-ბანიაში ორმხრივ იყო საინტერესო: შეძლებდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონი გამარჯვებით დაესრულებინა მისთვის მიმდინარე საჭადრაკო წელი, და როგორ სპორტულ ფორმაშია ნ. ალექსანდრია, რომელსაც 1971 წლის შემოდგომიდან ოფიციალურ ტურნირში არ უთამაშია. ჩვენმა მოჭადრაკეებმა იმედი გაგვიმართლეს.

იუგოსლავიაში გამგზავრების წინ ნ. გაფრინდაშვილმა, რომელიც პირველი თასის მფლობელია, გვითხრა:

— ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასი უნდა დავიბრუნო, რომ ღირსეულად დავამთავრო წლევანდელი წელი.

ნონამ სიტყვა საქმედ აქცია.

1972 წელს გაფრინდაშვილმა სამი უაღრესად დიდი და მძიმე პაექრობა მოიგო: გაზაფხულზე მძაფრ ბრძოლაში სძლია ა. კუშნირს და მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, შემოდგომის პირზე მისი თავკაცობით საბჭოთა გუნდმა I ადგილი დაიკავა ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადაში და აქაც მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში). ახლა კი კვლავ დიდი გამარჯვება!

ტურნირი გაფრინდაშვილმა დაუმარცხებლად განვლო: შვიდი შეხვედრა მოიგო და ოთხი ყაიმით დაამთავრა. როგორც მუდამ, მან შესაშური თავშეკავება და თვითდაჯერება გამოავლინა. როცა ვერეციმ გაუსწრო, ნონა ოლიმპიური სიმშვიდით განაგრძობდა ჭიდილს ყოველ პარტიაში, ფეხდაფეხ მისდევდა უნგრელ მოჭადრაკეს. მასთან გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელშიც თასის ბედი წყდებოდა, ქართველმა ჩემპიონმა დიდი შემართებით იბრძოლა და გაიმარჯვა.

შეჯიბრებაში ნანა ალექსანდრიას მონაწილეობა ძალიან აღელვებდა მის ქომაგებს. ნიჭიერ მოჭადრაკეს ერთი წელიწადია არსად უთამაშია. პატარა გიორგი ბოკერია, რომელიც მალე 8 თვისა გახდება, დედას თავისუფალ დროს არ უტოვებდა. მხოლოდ შემოდგომაზე შეძლო ნანამ მეცადინეობის განახლება თავის მწვრთნელ დიდოსტატ ბ. გურგენიძესთან. ოქტომბერში იგი დაესწრო კისლოვოდსკის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მისი მწვრთნელი მონაწილეობდა.

ვრნიაჩკა-ბანიას ტურნირმა ცხადყო, რომ ნანა კვლავ ძლიერი და დიდი მომავლის მოჭადრაკეა. არც მას წაუგია: ხუთი პარტია მოიგო და ექვსი ყაიმით დაამთავრა. ცხადია, ახლა ყველას გვაინტერესებს ალექსანდრიას მონაწილეობა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში (გაიმართება 1973 წელს), სადაც იგი პერსონალურადაა მიწვეული.

უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ჟ. ვერეცისა და მ. ივანკას სახით საბჭოთა მოჭადრაკეებს მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში ახალი ღირსეული მეტოქეები გაუჩნდათ.

კვლავ უძლიერესთა შორის რჩებიან ე. პოლიქრონიადე, ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა. საიმედო ძალაა ა. პიხაილიჩი.

ტურნირმა ვრნიაჩკა-ბანიაში ცხადყო ქალთა ჭადრაკის შემდგომი წინსვლა.

ვულოცავთ ქართველ მოჭადრაკეებს სასახელო წარმატებას, ვუსურვებთ შემდნიერებასა და ახალ დიდ გამარჯვებებს.

თ. გიორგაძე.



# მიხეილ ტალი — სსრ კავშირის ჩემპიონი

16 დეკემბერს ბაქოში, მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატში, გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

მ. ტალმა (რიგა) მეთოდური თამაშით მოუგო ვ. ჟიდკოვს (კიევი). ლიდერს მხოლოდ ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) დაეწეოდა, ისიც მაშინ თუ ის ორივე დარჩენილ პარტიას მოიგებდა, ტალი კი წააგებდა.

სხვა გადადებული პარტიების შედეგები ასეთია: ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ა. კაპენგუტი (მინსკი) 0,5:0,5, ვ. ზილბერშტეინი (ორსკი) — ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი) 0,5:0,5, რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) — მ. მუხინი (ალმა-ათა) — 0,5:0,5, რ. ხოლმოვი — ა. ლეინი (ორივე — მოსკოვი) 1:0, ჯინჯიხაშვილი — ს. ფურმანი (ლენინგრადი) 0:1.

ვ. სავონმა (ხარკოვი) მოუგო ი. ბალაშოვს (მოსკოვი) XVIII ტურიდან გამოტოვებული პარტია.

გუშინწინ XX ტურში ტალმა ყაიმით სწრაფად დაამთავრა შეხვედრა კაპენგუტთან და მეტოქეთათვის მიუწვდომელი შეიქნა.

ტუკმაკოვი დამარცხდა სავონთან, კ. გრიგორიანი (ერევანი) — ხოლმოვთან, შამკოვიჩი — ჯინჯიხაშვილთან, ლეინი — ნ. რაშკოვსკისთან (კურგანი).

ყაიმით დამთავრდა პარტიები: ბაგიროვი — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ლ. ალბურტი (ოდესა) — ჟიდკოვი, ზილბერშტეინი—დ. ბრონშტეინი, ი. რაზუვაევი (ორივე — მოსკოვი) — ფურმანი, მუხინი — ბალაშოვი.

გადაიდო ვ. გუფელდ (თბილისი) — ვ. ვასიუკოვის (მოსკოვი) შეხვედრა.

დასკვნითი, XXI ტურის წინ მ. ტალს 14,5 ქულა აქვს, ვ. ტუკმაკოვს, მ. მუხინს, ვ. სავონს — 12-12, გ. კუზმინს — 11,5, ე. ვასიუკოვს — 10,5 (1). აი, ეს მოჭადრაკეები იბრძვიან საზონათშორისო ტურნირის სამი საგზურისთვის (ტალი ამ ტურნირში პერსონალურადაა მიწვეული). ამიტომ ბოლო ტურში, რომელიც დღეს შედგება, დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები: ტუკმაკოვისა—რაზუვაევთან, მუხინისა — ფურმანთან, სავონისა — შამკოვიჩთან, კუზმინისა — გრიგორიანთან და ვასიუკოვისა — ალბურტთან.

რ. ჯინჯიხაშვილს 9,5 ქულა აქვს, ე. გუფელდს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ტალი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

# პრესა პალაპარაკა

სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლისთვის დიდი ჯაფა დაადგათ ა. მეტრეველსა და თ. კაკულიას. ისინი ჯერ კიდევ ვერ შეეგუენ ავსტრალიურ მცხუნვარე ზაფხულს, იმ დღეს კი პაპანაქება იყო — 38 გრადუსი. მეტრეველმა ავსტრალიელ ს. ბოლთან მერვედფინალური მატჩის პირველი პარტია წააგო (5:7), იგი აგებდა მეორე ხელსაც (2:4), მაგრამ შემდეგ შეძლო ჩარხის წაღმა დატრიალება და გაიმარჯვა (7:5, 6:4). კაკულიამ მოუგო შეხვედრა ავსტრალიელ ბ. ფილიპს-მურს (6:2, 6:7, 6:3). ბაქოელი ე. ბირიუკოვა დამარცხდა ავსტრალიელ ჯ. იანგთან (4:6, 3:6) და შეჯიბრებას გამოეთიშა.

მეორე დღეს ქართველმა ჩოგბურთელებმა კვლავ ისახელეს თავი და ნახევარფინალისკენ გაიკაფეს გზა. მეტრეველმა იოლი გამარჯვება მოიპოვა გფრ-ის წარმომადგენელ კ. მაილერთან — 6:3, 6:3, 6:4. ნახევარფინალში მეტრეველის მეტოქე იქნება პ. დომინგესი (საფრანგეთი), რომელმაც მეოთხედფინალში დაამარცხა ავსტრალიელი პ. დიორნერი (6:4, 2:6, 6:0, 4:6, 11:9).

ძნელი ბრძოლა გადახდა თავს კაკულიას ავსტრალიელ ჯ. ჯეიმსთან შეხვედრაში. თეიმურაზი ისე თავგამოდებით იბრძოდა თითოეული ბურთისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს მეტოქე გატეხა (6:3, 4:6, 6:4, 2:6, 6:3) და ნახევარფინალში გავიდა.

ამ დაძაბული მატჩის შემდეგ ავსტრალიელმა ჟურნალისტებმა ბევრი საქებარი სიტყვა მიუძღვნეს კაკულიას. ნახევარფინალში მისმა მეტოქემ კ. დიბლიმ (ავსტრალია) მეოთხედფინალში დაამარცხა ახალზელანდიელი ო. პერუნი — 7:6, 6:4, 6:4.

მომდევნო დღეს გაიმართა ნახევარფინალური მატჩები. მეტრეველმა დაამარცხა დომინგესი (6:4, 6:4, 6:7, 7:6), ხოლო კაკულიამ წააგო დიბლისთან (6:7, 2:6, 2:6).

მეტრეველი და კაკულია ვაჟთა წყვილების ნახევარფინალშიც გავიდნენ.

ქალთა ერთეულების ნახევარფინალებში ოთხი ავსტრალიელი გავიდა: ი. გულაგონგი, პ. კოულმენი, კ. ჰარისი და ს. დიორნერი.

26 დეკემბერს მელბურნში იწყება ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მასპინძელთა უძლიერესი წარმომადგენლები კ. როზუოლი, ჯ. ნიუკომბი, მ. ანდერსონი. ისინი შესაბამისად განთესილი არიან პირველ, მეორე და მესამე ნომრებად. მეოთხე ნომერია ა. მეტრეველი.

ქალთა ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მ. კორტი, ი. გულაგონგი, კ. მელვილი, ჰ. გოურლეი და სხვ.

# მესამედ!

## მეტრეველი ისევ სამხრეთ ავსტრალიის ჩემპიონია

ადელაიდა, 17 დეკემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა ა. მეტრეველმა მესამედ მოიხვეჭა სამხრეთ ავსტრალიის ჩემპიონის წოდება: ფინალურ შეხვედრაში, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, ავსტრალიელ კ. დიბლის სძლია — 7:5, 5:7, 6:7, 7:6, 6:2.

ჩემპიონის დაფნა ხვდა ბაქოელ ე. ბირიუკოვასაც, რომელიც ავსტრალიელ ჯანეტ იანგთან ერთად გამოვიდა ფინალურ მატჩში სათამაშოდ. ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია — დაამარცხა უიმბლდონის ექს-ჩემპიონი ი. გულაგონგი და ჰ. გოურლეი (ორივე — ავსტრალია) — 6:2, 6:2.

# ფინიშიდა დარჩა

თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში, გრძელდება დედაქალაქის ვაჟთა 1973 წლის პირველობის ნახევარფინალი (შვეიცარიული სისტემით, 11 ტური), რომელშიც 118 მოჭადრაკე მონაწილეობს.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ ოსტატობის კანდიდატები ვ. მიქაელიანი და გ. ზაიჩიკი — 7,5-7,5 ქულა, ს. კიკილაშვილი, ვ. კუზნიანი, პირველთანრიგოსანი დ. გურგენიძე — 7-7, ოსტატობის კანდიდატები კ. ჩიგოგიძე, გ. კალატოზიშვილი, გ. მაჭავარიანი, დ. გედევანიშვილი, ნ. ჩახოიანი, პირველთანრიგოსნები ვ. ჩხეიძე, ე. აფრინდონიძე და გ. მურჯიკნელი—6,5-6,5.

სათამაშო დარჩა ორი ტური. სწორედ აქ გადაწყდება ფინალის 10 საგზურის ბედი, ვინაიდან ლიდერთა უმრავლესობა ხვდება ერთმანეთს.

ნ. მიხაშვილი.

# დიდი ანგარიშით

მოსკოვი, 17 დეკემბერი. ადგილობრივი საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში დღეს აქ დიდი ანგარიშით დაამარცხა ბელგიის კლუბი „ავანტი" — 28:11 (16:4). სტუმართა კარში ყველაზე მეტი ბურთი (7) მაროვმა გაიტანა. ამ გუნდების საპასუხო თამაში ერთი კვირის შემდეგ გაიმართება.

საკლესი მოგვითხრობს

# ჩვენი ძოძმი კავშირის — ჩვენი სიამაყე

## ერთ რაიონში...

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისთვის ტაჯიკეთის მებამბეობის ერთ-ერთი ცენტრის — ლენინის რაიონის ფიზკულტურელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: აიგო ახალი, 5000-ადგილიანი სტადიონი, რომელსაც აქვს სარბენი ბილიკები, ტყორცნისა და ხტომის სექტორები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. სტადიონი შესანიშნავი ბაზა იქნება რაიონის ფიზკულტურელებისთვის, რომლებიც სპორტის 15 სახეობას მისდევენ.

ასეთივე სტადიონები აიგება რესპუბლიკის რამდენიმე სხვა რაიონში.

დუშანბე.

## „იყავით ჯანმრთელნი“

ასე ჰქვია სპორტულ ბაზას, რომელიც ალმა-ათის პლასტმასის ნაკეთობათა ფირმა „კზილ-ტუს“ მუშა-მოსამსახურეებისთვის აიგო ზაილიის ალათაუს კალთებზე. ბაზის 100-ადგილიანი კორპუსები ულამაზეს ხეობაშია აღმართული.

ზამთრის სპორტის მოყვარული კაცი აქაზე უკეთეს ადგილს ვერ ინატრებს. მოციგავეებისთვის მოხერხებული ფერდობია შერჩეული. საციგურაოზე წყაროს წყალი მოასხეს. ვისაც ფეხით სიარული უნდა, მათთვის „ჯანმრთელობის ბილიკია“ გაკვალული.

ბაზას, სადაც უკვე დაიწყო მზადება მშდ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად, მალე საცურაო აუზიც ექნება — მშენებლობა დაწყებულია.

ალმა-ათა.

## ფართოვდება „სპორტული სამეფოები“

ქალაქის მახლობლად განლაგებულმა პიონერთა ბანაკმა „სალუტმა“ სახე იცვალა: აქ გაიხსნა მანქანათსაშენი ქარხანა „პროგრესის“ სათხილამურო ბაზა, რომელიც ერთდროულად 500 სტუმარს უმასპინძლებს.

ქარხნის სპორტსმენები ბევრი სახეობით არიან გატაცებული, ბურთიანი ჰოკეის გუნდი კი ერთ-ერთი უძლიერესია მხარეში.

„პროგრესს“ არც მეორე დიდი მანქანათსაშენი ქარხანა „ასკოლდი“ ჩამორჩა — იქ აიგო სათხილამურო ბაზა 400 კაცისთვის, შესანიშნავი სპორტის სასახლე, ტირი.

არსენიევი,
ზღვისპირეთის მხარე.

## „ხვალინდელი დღის შესახვედრად“

ლატვიის ლიმბაჟის რაიონის მოსახლეობა მასობრივად გატაცებულია ფიზკულტურით. წლეულს რაიონულ სპარტაკიადაში ყველა მეურნეობისა და საწარმოს გუნდები მონაწილეობდნენ. ყველა კოლექტივში აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ძალიან გამოაცოცხლა სამეურნეო, კულტურული და სპორტული ცხოვრება. ლიმბაჟის რაიონში ჩატარდა სადაბო და სასოფლო საბჭოების პირველი რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი „კომუნისტური ხვალინდელი დღის შესახვედრად“. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ დათვალიერებაში სპორტს დიდი ადგილი დაეთმო. ჩასათვლელი ქულების დიდ ნაწილს მშდ კომპლექსის ნორმატივების წარმატებით ჩაბარება იძლევა.

ლიმბაჟის პარტრაიკომმა და რაიაღმასკომმა დააწესეს გარდამავალი წითელი დროშა სპორტული ბაზების მშენებლობაში წარმატებისთვის. დროშა მიიღო კოლმეურნეობა „აინაჟიმ“ რვაწლიანი სკოლის სპორტული კომპლექსისთვის.

ბოლო ორი წლის მანძილზე სახსრების კოოპერირების გზით, ცალკეულ კოლმეურნეობათა და სოციალისტურ მეურნეობათა ძალებით აიგო ოთხი სპორტული დარბაზი, სამი სტადიონი, ორი დახურული ტირი, თანამედროვე მოტოტრასა, მოედნები თამაშებისთვის.

ე. კეხრისი.

ლიმბაჟი,
ლატვიის სსრ.

## ოჯახური გატაცება

ნოვაია კახოვკაში უკვე 2 ათასმა მუშამ, მოსამსახურემ და მოსწავლემ ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. სპორტსმენთა ჯგუფს საზეიმოდ გადაეცა კომპლექსის სამკერდე ნიშნები. განსაკუთრებით გულთბილად მიესალმნენ 1-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ვასილ შელეპოვს. ეს კაცი, რომელმაც უკვე ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა, მთელი სპორტული დინასტიის მეთაურია. თავად ვასილი საზოგადოებრივი ინსტრუქტორია ტურიზმში. ტურიზმში თანრიგოსანია მისი მეუღლეც, ასევე მასწავლებელი. ვაჟი პარაშუტისტი და პირველთანრიგოსანი კალათბურთელი ჰყავთ, ერთი ქალიშვილი — მოფარიკავე და პირველთანრიგოსანი ტურისტი, შუათანა გოგონას II თანრიგი აქვს ფრენბურთსა და ტურიზმში, ხოლო სულ უმცროსი მძლეოსნობითა და კალათბურთითაა გატაცებული.

ნოვაია კახოვკა.

## ღირსეულად ხვდებიან საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს

50

## სახელგანთქმული ფალავნის მემორიალი

ხივაში მოეწყო XV საუკუნის სახელგანთქმული ფალავნის — პოეტისა და ბეჭდაუდებელი მოჭიდავის მაჰმუდის მემორიალი. საასპარეზოდ თავი მოიყარეს შუა აზიის ბევრი სხვადასხვა ქალაქის ათლეტებმა. სარბიელი მაჰმუდის მავზოლეუმის ახლოს მოეწყო. ბრძოლებს თვალს ადევნებდა უზბეკეთის ეროვნული ჭიდაობა კურეშის ათასობით მოყვარული.

შეჯიბრება ათ წონითს კატეგორიაში ჩატარდა. გაიმარჯვეს მაჰმუდის კუთხის შვილებმა — ხვარაზმის სოფლებისა და ქალაქების კოლმეურნეებმა, მასწავლებლებმა, მედიცინის მუშაკებმა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ანგიარიქსის რაიონის გუნდმა.

მთავარი ჯილდო — ბროლის თასი ფალავან მაჰმუდის სილუეტით — ურგენჩელ რ. მაშარიპოვს ხვდა. მან გაიმარჯვა ფინალურ ტურნირში, სადაც ყველა წონის მოჭიდავეები გამოდიოდნენ. გამარჯვებულის საკუთარი წონაა 106 კგ.

ხივა.



ᲠᲘᲒᲐᲨᲘ, ევროპის სამბისტთა I ჩემპიონატის დროს, მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები — სარბიელზე გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების სპორტის ოსტატები. მათ მაყურებლებს უჩვენეს ჭიდაობის ეროვნული სახეობების ილეთები, რომელთა საფუძველზეც სამბო აღმოცენდა.

სურათზე: მოლდავური ჭიდაობა ტრინტე. ხალიჩაზე არიან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი გ. კოტიი და სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი ი. კურდოვი.

ი. ჟიტლუხინისა და ნ. ნაუმენკოვის ფოტო.

# იზვესტია-72

● მოსკოვი, 16 დეკემბერი. ევროპული ლიგის ამჟამინდელ პირველობაში მოასპარეზე მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა თავიანთ აქტივში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს: დღეს ადგილობრივ „კრილია სოვეტოვის“ დარბაზში ანგარიშით 7:0 სძლიეს ინგლისის ნაკრებს. ამ მატჩში საუცხოოდ ითამაშეს მოსკოველებმა ზ. რუდნოვამ, ს. გომოზკოვმა და ბათუმელმა ს. სარხოიანმა. უნდა აღინიშნოს 19 წლის ლვოველი ა. სტროკატოვის წარმატებაც, რომელმაც პირად ორთაბრძოლაში ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს დ. ნილს აჯობა — 2:1. ორი შეხვედრის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს ერთი ქულა აქვს (პირველ მატჩში მან მარცხის სიმწარე იწვნია შვედებისგან), ხოლო რიგით ამ მეექვსე ტურნირის აუტსაიდერებს — ინგლისელებს არც ერთი (მათ ოთხივე შეხვედრა წააგეს). ლიდერობენ უნგრელები, რომლებმაც სამივე მატჩი მოიგეს. 20 დეკემბერს სსრ კავშირის ნაკრები სტუმრად შეხვდება ძალიან ძლიერ მეტოქეს — ჩეხოსლოვაკიის გუნდს.

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

**ადის-აბება, 17 დეკემბერი.** დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელთა გუნდმა ეთიოპიაში თავისი ტურნეს მესამე მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი „ასმარა“.

ეს ერთადერთი გოლი მე-20 წუთზე გაიტანა ევსეენკომ.

**ნაირობი, 17 დეკემბერი.** კენიაში ტურნე დაიწყო მინსკის „დინამომ“. პირველი მატჩი სტუმრებმა ნაკურუში ჩაატარეს — ადგილობრივი ნაკრები დაამარცხეს — 1:0. ეს ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა სახაროვმა.

კისუმუში გამართულ მეორე შეხვედრაში სტუმრებმა დიდი ანგარიშით იმარჯვეს: მეტოქის — ოლქის ნაკრების კარში 6 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში მხოლოდ ერთი მიიღეს.

ფეხბურთი

## მხოლოდ ერთმა კოლექტივმა

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის თბილისის აეროპორტის ბორტგამყოლი ნანა ბაიძე იმ დილით ტაშკენტიდან ჩამოფრინდა თუ არა, პირდაპირ „ლოკომოტივის“ საცურაო აუზს მიაკითხა. ავიაციის მუშაკთა პროფკავშირების ნაკრები გუნდის წევრი ახლა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს დარგობრივ სპარტაკიადაში იცავდა კოლექტივის ღირსებას. ნანას თავი არ დაუზოგავს: 100 მეტრზე ბრასით ცურვაში ყველას აჯობა. წარმატება რომ მივულოცეთ, გვითხრა:

— ავიაციის მუშაკებისთვის კარგი ფიზიკური წრთობა აუცილებელია. ამიტომ მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივები ყოველწლიურად ჩავაბაროთ.

საქმეს ყველა ასეთი პასუხისმგებლობით როდი მოეკიდა. ხსენებული სპარტაკიადა ძირითადად მშდ კომპლექსის პროგრამით ჩატარდა და, ვინაიდან ცურვა ყველასთვის აუცილებელია, სავარაუდო იყო, რომ ცისფერ ბილიკებზე მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას ვიხილავდით. შეჯიბრების ორგანიზატორები და აუზის დირექცია რესპუბლიკური დონის ღონისძიების მასპინძლობისთვის სათანადოდ მოემზადნენ, მაგრამ თერთმეტი პროფკავშირული კოლექტივიდან, გაიოლებული პროგრამის მიუხედავად, სრულად დაკომპლექტებული გუნდი მხოლოდ განათლების მუშაკებმა გამოიყვანეს (4-4 ქალი და ვაჟი).

ამ გუნდის მოცურავეები მეტოქეებს ტექნიკური მაჩვენებლებითაც აშკარად სჯობდნენ. საბოლოო წარმატებაც მათ დარჩათ. ქვების მრეწველობის მუშაკებმა 61 ქულა მოაგროვეს და გამარჯვებულს 41 ქულით ჩამორჩნენ. III ადგილი სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირების წარმომადგენლებს ხვდათ — 36 ქულა.

თ. თენგოზვილი.



## დეპუტატმა აქაც იმარჯვა

ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი მოწინავეა სამხრეთ ოსეთში. ამიტომაც გვაინტერესებდა როგორ მიდის ქარხანაში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ფიზკულტურის კოლექტივის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა, პირველთანრიგოსანმა ფრენბურთელმა გ. გაზაევმა გვიამბო:

— გამოქვეყნდა თუ არა დადგენილება ახალი კომპლექსის შემოღების შესახებ, შევიმუშავეთ ღონისძიება, შედგა ნორმატივების მიმღები კომისია, რომლის თავმჯდომარედაც ქარხნის დირექტორის მოადგილე ა. ჯანაევი დაინიშნა. ნორმატივების ჩაბარებაში 280 მუშა-მოსამსახურე ჩაება.

ჯერჯერობით ბირთვის კვრაში 28 კაცმა ჩააბარა ნორმატივი, ხელყუმბარის ტყორცნაში — 50 ფიზკულტურელმა. ყველას აჯობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მჭედელმა ა. გათიკოევმა, რომელმაც 53 მეტრზე ტყორცნა ხელყუმბარა. ქარხანაში ნორმატივები უკვე ჩააბარეს 60 და 100 მეტრზე რბენაშიც.

ტურიზმში 31 ფიზკულტურელმა რთული მარშრუტი აირჩია: როკის ზეკარით ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდნენ, სადაც რამდენიმე მთა დალაშქრეს, ხოლო უკან მამისონის ზეკარით დაბრუნდნენ. ტურისტებმა ყველა ეტაპი შეუფერხებლად გაიარეს.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

● ●

## მასობრივი კროსის სტარტებზე

აგარის ტბის მიდამოებში გაიმართა მძლეოსნური კროსი, რომელშიც რაიონის 384 სპორტსმენი მონაწილეობდა. VI-VIII-კლასელი გოგონების შეჯიბრება 300 მეტრზე რბენაში ნ. გრიგალაშვილმა მოიგო — 51,7. ამავე ასაკის ჭაბუკთა შორის 500 მეტრზე პირველობა არავის დაუთმო ც. ილაშვილმა (ორივე — აგარის სკოლა) — 1.21,4.

IX-X-კლასელი ქალიშვილები 500 მეტრზე რბენის სტარტზე გამოვიდნენ. გაიმარჯვა ფციელმა ნ. ნებიერიძემ — 1.37,0. 2000 მეტრზე რბენაში ჭაბუკთა შორის მიუწვდომელი იყო აგარელი ვ. ოსკანოვი — 2.55,1.

მშდ-ს ახალი კომპლექსის ნორმატივი ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა 64 მოსწავლემ, ხოლო ვერცხლისაზე — 98 მონაწილემ.

გუნდური პირველობა აგარელთა კოლექტივს დარჩა.

ზ. ლურსმანაშვილი.

აგარა,
ქარელის რაიონი.

## „ლელოს“ გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ გორის რაიონის სოფელ ატენის ახალგაზრდები. ისინი ჩიოდნენ, რომ ფეხბურთის სათამაშო მინდორი არა აქვთ, რის გამოც მოკლებული არიან ვარჯიშისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამ საკითხის თაობაზე რედაქციამ მიმართა გორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, საიდანაც სულ ახლახან მივიღეთ ცნობა. მას ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ე. კოზკაძე: „გორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი გაცნობებთ, რომ სოფელ ატენში გამოიყო ადგილი ფეხბურთის მოედნისთვის, იგი მოსაწესრიგებელია და მომავალი წლის სეზონის დასაწყისისთვის ახალგაზრდებს საექსპლოატაციოდ გადაეცემათ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმაღლესი ლიგა

### სსრ კავშირის პირველობა

# შთამბეჭდავი გამარჯვება

.16 და 17 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა მორიგი ტურის მატჩები.

„კალევი" (ტარტუ) — რტი (მინსკი) 81:70 (39:39). საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტის — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა ახლაც დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება მოახდინეს. განსაკუთრებით ეფექტურად თამაშობდნენ ისინი პირველ ტაიმში. „კალევი" რის ვაი-ვაგლახით იგერიებდა მეტოქის მძაფრ შეტევებს, მაგრამ პირველ ოც წუთში მინსკის გუნდი შესამჩნევად დაზარალდა: კრისევიჩსა და კოვალიოვს 4-4 ჯარიმა ჰქონდათ მიღებული. მათ ყოველ წუთს თამაშიდან გასვლა ემუქრებოდათ. ფრთხილობდა ბორისოვიც და მხოლოდ შუკშინი ებმებოდა გაბედულად ფარის ქვეშ უთანასწორო ბრძოლაში.

მინსკელთა შემადგენლობის „წმენდა" მეორე ნახევარში დაიწყო და ამან გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. კრისევიჩიც, კოვალიოვიცა და ბორისოვიც ბოლოს და ბოლოს სათადარიგოთა სკამზე დასხდნენ. ეს ესტონელებისთვის დიდი შეღავათი იყო: თავისუფლად გაშალა ფრთები სალუმეტსმა, ენერგიულად შეუტია კალათს კრიკუნმა და თამაშიც გატყდა. „კალევი" არ არის ისეთი გუნდი, რომ ხელიდან გაუშვას ხელსაყრელი მომენტი. მან მტკიცედ იგდო ხელთ ინიციატივა და ბრძოლაც ლოგიკურ ფინალამდე მიიყვანა.

გამარჯვებული კოლექტივის წევრებიდან საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს სალუმეტსმა (21 ქულა) და კრიკუნმა (18), დამარცხებულში კი შუკშინმა (19).

„დინამო" (თბილისი) — ცსკა 76:74 (39:35). მატჩის შედეგით მასპინძლები, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყვნენ, თუმცა საბოლოო ანგარიში ოდნავაც არ გამოხატავს ბრძოლის საერთო სურათს. თბილისის „დინამომ" ჩაატარა ერთ-ერთი თავისი საუკეთესო შეხვედრა და დაამტკიცა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ბრძოლაც და ისეთი დაუმარცხებელი გუნდის დამარცხებაც, როგორიცაა ცსკა.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონი ასეთი გატეხილი, ბედს შეგუებული და უმწეო დიდი ხანია არ გვინახავს. ცსკა და მისი თაყვანისმცემლები ამ მატჩისგან ალბათ ყველაფერს ელოდნენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მთლიან და უსიტყვო განადგურებას. არადა, კატასტროფის ნიშნები აშკარა იყო მეორე ტაიმის დასაწყისში, ხოლო 30-ე წუთის შემდეგ ბრძოლას ტონს მხოლოდ თბილისელები აძლევდნენ.

ახლა გვიანაა კამათი იმაზე, თუ რა სჯობდა: თავიდანვე გამოეყვანა არმიელთა მწვრთნელს პირველი ხუთეული, თუ გაჭირვების ჟამს მიემართა მათთვის (სხვათა შორის, ა. გომელსკიმ ეს მეორე ვარიანტი არჩია). გვიანაა კამათი თუნდაც იმიტომ, რომ არც ერთი ტაქტიკური ნაბიჯი არ შეცვლიდა ბრძოლის საერთო სურათს. ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული. და კიდევ, ვერც მილოსერდოვს, ვერც კოვირკინს და ვერც პეტრაკოვს ვერ დააბრალებთ ინერტულობას ან მოუნდომლობას. ისინი მთელი სულითა და გულით იბრძოდნენ, თავს არ ზოგავდნენ და, ასე გასინჯეთ, ოლიმპიელებზე არანაკლები შთაბეჭდილებაც მოახდინეს, მაგრამ დინამოელთა მოთოკვა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ ამოცანის გადაჭრა განუხორციელებელ პრობლემად ჩანდა ისეთი მაღალი კლასის ოსტატებისთვისაც კი, როგორიც არიან ს. ბელოვი, ჟარმუხამედოვი და ედეშკო.

კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: „დინამომ" მოინდომა, იბრძოლა, მთლიანად გამოავლინა თავისი პოტენცია და გაიმარჯვა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული თავის თავში, ღრმად იყო დაჯერებული საბოლოო წარმატებაში და მთელი ბრძოლა მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით წარმართა. უგრეხელიძემ თავისი საუკეთესო წლები გაიხსენა, ძიძიგურმა შეუდარებელი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა, პულავსკიმ ნაყოფიერად და კეთილსინდისიერად იმუშავა, საკანდელიძემ და ქორქიამ კი თავისებური გვირგვინი დაადგეს კოლექტივის სულისკვეთებას.

ბრძოლაში ყველა ხერხია ნებადართული, რასაც კი გამარჯვებისკენ მივყავართ, ოღონდ კალათბურთის ფარგლებს ნუ გასცდება და კანონის ჩარჩოებში იყოს მოქცეული. „დინამომ" ყველა ხერხი გამოსცადა ამ ბრძოლაში და ყველა ეფექტური აღმოჩნდა. მაგრამ ამ ხერხებს შორის უმთავრესი მაინც ფსიქოლოგიური უპირატესობა გამოდგა, რწმენა, რომელმაც ცალკეულ მოთამაშეთა ღირსებები ერთ მთლიან ძალად შეკრა.

„დინამომ" გაიმარჯვა საკალათბურთო ხელოვნების ყველა პუნქტში. იგი მეტოქეზე უფრო სწრაფი და მოძრავი იყო, უფრო შეკრული — დაცვაში და გამიზნული — თავდასხმაში. იგი უკეთ ხედავდა თავისი შეტევის ობიექტს და შეუცდომლად განსაზღვრავდა მეტოქის სისუსტეებს.

და მაინც, როგორ მოხდა, რომ თბილისელებმა ბრძოლით მოპოვებული 20-ქულიანი უპირატესობა ბოლოს 2 ქულამდე დაიყვანეს? ამ კითხვის ახსნას თვით თამაშის პროცესში ვერ ნახავთ. იგი უფრო მეტად გუნდის ხასიათიდან გამომდინარეობს. ცსკა-მ კი არ მოიგო 18 ქულა, „დინამომ" დათმო, ვინაიდან გამარჯვება ფაქტიურად უზრუნველყოფილი ჰქონდა. ეს საეჭვო ექსპერიმენტია! ცსკა, მაგალითად, არასდროს გაუშვებს ხელიდან ისეთ ფუფუნებას, როგორიც 20-ქულიანი უპირატესობაა, ისიც თბილისის „დინამოსთან". ბრძოლა ბოლო წუთამდეა საჭირო, თუნდაც იმიტომ, რომ წარმატებას მეტი ეფექტი ჰქონდეს.

„დინამო" (მოსკოვი) — რტი (მინსკი) 87:88 (41:42). ბრძოლის ბედი ბოლო ხუთ წუთში გადაწყდა. მოსკოველებმა მთელი მატჩის მანძილზე ვერაფრით გატეხეს ბელორუსიელი კალათბურთელების წინააღმდეგობა და თამაში მათთვის არასასურველ ენდშპილში გადავიდა. 37-ე წუთზე კრისევიჩმა ქულით დააწინაურა რტი (81:80). 39-ე წუთზე წინ „დინამო" გავიდა — 87:86. მატჩის დამთავრებას 6 წამი აკლდა, როდესაც შუკშინმა ორი ზუსტი საჯარიმო სროლით გამარჯვება მოუტანა თავის კოლექტივს.

ცსკა — „კალევი" (ტარტუ) 88:76 (42:35). ესტონელებმა აქტიურად ჩაატარეს პირველი ტაიმი, არმიელებმა — მეორე. ჩემპიონის უპირატესობა განსაკუთრებით შეხვედრის მიწურულს გამოისახა. გამარჯვებულთა შორის თავი გამოიჩინა ჟარმუხამედოვმა (26 ქულა), დამარცხებულებში კი ვეტერანმა ტომსონმა (20).

ნ. გუგუშვილი.

• • •





სურათებზე: თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს შეხვედრის მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

# თბილისის „დინამო" 1972 წელს

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| საკავშირო პირველობა • | 30 | 12 | 11 | 7 | 41—34 |
| სსრ კავშირის თასი | 6 | 2 | 3 | 1 | 8—4 |
| საერთაშ. ამხანაგური მატჩები | 11 | 8 | 0 | 3 | 49—15 |
| საერთაშ. ოფიციალური მატჩები | 2 | 1 | 0 | 1 | 3—4 |
| ხ უ ლ | 49 | 23 | 14 | 12 | 101—57 |

აი, ვინ გაიტანა გოლები:

| | სსრკ ჩემპ. | სსრკ თასი | საერთ. ამხ. | საერთ. ოფიც. | ხულ |
|---|---|---|---|---|---|
| გ. ნოდია | 8 | 7 | 9 | 2 | 26 |
| დ. ყიფიანი | 7 | — | 9 | 1 | 17 |
| ფ. რეხვიაშვილი | 1 | — | 9 | — | 10 |
| გ. გავაშელი | 6 | 1 | 2 | — | 9 |
| ვ. გუცაევი | 5 | — | 4 | — | 9 |
| ლ. ნოდია | 1 | — | 8 | — | 9 |
| გ. პეტრიაშვილი | 4 | — | — | — | 4 |
| კ. ასათიანი | 2 | — | 2 | — | 4 |
| მ. მაჩაიძე | 2 | — | 1 | — | 3 |
| რ. ძოძუაშვილი | 2 | — | — | — | 2 |
| გ. ჭელიძე | 1 | — | 1 | — | 2 |
| ბ. მჭედლიშვილი | 1 | — | 1 | — | 2 |
| ს. კუტივაძე | — | — | 2 | — | 2 |
| მ. ხურცილავა | 1 | — | — | — | 1 |
| ზ. ებრალიძე | — | — | 1 | — | 1 |

• • •

ახლა კი გადავხედოთ, თუ როგორი მდგომარეობა აქვთ თბილისის „დინამოს" მოთამაშეებს უმაღლეს ლიგაში გატანილი ბურთების მხრივ: გ. ნოდია — 70 გოლი, გ. გავაშელი — 46, კ. ასათიანი — 23, ს. კუტივაძე — 22, მ. ხურცილავა, ლ. ნოდია — 11-11, გ. პეტრიაშვილი — 10, დ. ყიფიანი — 9, მ. მაჩაიძე, ვ. გუცაევი — 8-8, რ. ძოძუაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ფ. რეხვიაშვილი — 4-4, გ. ჭელიძე — 2, ზ. ებრალიძე—1.

ზ. გარაყანიძე.

## ფეხბურთი

# ზედიზედ მეორედ

აჭარის 1972 წლის ჩემპიონის წოდებისთვის 9 გუნდი იბრძოდა.

თანაბარი ძალით, ენერგიულად და მონდომებით ჩაატარეს გათამაშება ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი ა. ჩიქოვანი, საზოგადოებრივი მწვრთნელი ს. ავალიანი) ფეხბურთელებმა. ჩემპიონატის პირველ წრეში ჩაქველებმა ქულათა მაქსიმუმი აიღეს, შემდგომში მხოლოდ 3 ქულა დაკარგეს და დაუმარცხებლად შეძლეს აჭარის ჩემპიონობის მოპოვება. ჩაქველები ზედიზედ მეორედ გახდნენ უძლიერესნი.

II ადგილი წილად ხვდა ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს, ხოლო III — ბათუმის ნორჩი დინამოელის გუნდს. საინტერესოა, რომ ნორჩი დინამოელის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვ. ხრისტომ საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი მოიპოვა (მან 28 გოლი გაიტანა).

ზემოაღნიშნული გუნდების გარდა კარგად ითამაშეს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა.

პერსპექტიულ მოთამაშეებად გაგვაცნეს თავი რ. დარახველიძემ, ნ. სურგულაძემ, გ. ჯორბენაძემ, ლ. ხალვაშმა, თ. ბეჟანიძემ, ა. კინწურაშვილმა, გ. ბიკვაიძემ, ო. არშბამ, რ. ქობალიამ და სხვ.

გათამაშებამ ცხადყო, რომ ზოგიერთ კოლექტივში კვლავინდებურად მოიკოჭლებს დისციპლინა. მაგალითად, წესრიგის დარღვევისთვის მინდვრიდან იქნენ გაძევებული ს. გოვოროვი, ჯ. დეკანოიძე (ორივე — ოჩხამური), ა. კვირიკაძე (ახალშენი), ვ. აგუმბა (ბათუმის მერძევეობის მეურნეობა), გ. მჟავანაძე, გ. ბაკურაძე (ორივე — ნორჩი დინამოელი), მ. ქაცარავა (ქედა), ჯ. კორძაია, ზ. ზოიძე, ბ. ლაბაძე (ყველა — წინსვლა), რ. ჩხიკვაძე (ახალშენი), ვ. დოლიძე (ჩაქვი), ა. ნაკაიძე, თ. ევგენიძე, რ. ბალაძე (ყველა — ცეცხლაური).

ზოგიერთი საწარმოს წარმომადგენლები უპასუხისმგებლოდ მოეპყრნენ შეჯიბრებას. მსაჯთა კოლეგია იძულებული იყო მატჩებზე გამოუცხადებლობისთვის გათამაშებიდან მოეხსნა ნავთობგადამმუშავებელი და მანქანათსაშენი ქარხნების გუნდები. აღსანიშნავია ისიც, რომ ფეხბურთელთა ნორმალური წვრთნისთვის ყველგან არ არის შექმნილი სათანადო პირობები. მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში რამდენიმე წლის წინ დაიწყეს საფეხბურთო მინდვრის მოწყობა, მაგრამ მშენებლობა დღემდე დაუმთავრებელია.

ო. მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
ბათუმი.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ავტოსატრანსპორტო საწარმო (ჩაქვი) | 13 | 3 | 0 | 29 |
| ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა | 12 | 2 | 2 | 26 |
| ნორჩი დინამოელი (ბათუმი) | 10 | 2 | 4 | 22 |
| ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა | 6 | 5 | 5 | 17 |
| სოფ. ჩაისუბნის კოლმეურნ. (ქობულეთის რ.) | 7 | 1 | 8 | 15 |
| სოფ. წინსვლის კოლმეურნ. (ხელვაჩაურის რ.) | 5 | 3 | 8 | 13 |
| ბათუმის მერძევეობის მეურნეობა | 4 | 4 | 8 | 12 |
| აწყვსი (ქედის რაიონი) | 2 | 4 | 10 | 8 |
| სოფ. ახალშენის კოლმეურნ. (ხელვაჩაურის რ.) | 1 | 0 | 15 | 2 |

# ..ამჯერად—„სტროიტელთან"

ჰაუნასი, 17 დეკემბერი. საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა — ლენინგრადის „სპარტაკმა" გუშინ კიდევ ერთი მარცხის სიმწარე იწვნია, ამჯერად კიევის „სტროიტელთან" მატჩში. პირველი ნახევარი ნევისპირელებმა მოიგეს — 35:33. შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს უკრაინელებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 72:71.

ადგილობრივმა „ჟალგირისმა" დიდი ანგარიშით მოუგო კიევის ასკ-ს—80:58 (36:23).

დღეს გაიმართა კაუნასის ტურის ბოლო მატჩები. კიევის „სტროიტელმა" წააგო თანაქალაქელ არმიელებთან — 60:63 (34:35), ხოლო ლენინგრადის „სპარტაკმა" მოუგო ვოროშილოვგრადელ თანაკლუბელებს — 76:65 (44:34).

• •

# ევროპული თასები

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპული თასების გათამაშებათა მორიგი მატჩები.

ბელგრადი. ადგილობრივმა „ცრვენა ზვეზდამ" მეორე მატჩიც მოუგო ტირანის „პარტიზანს" — 99:74 (38:34) და ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

მილანი. ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში ადგილობრივმა „სიმენტალმა" ავსტრიის „ვინერბერგი" დაამარცხა — 93:76 (43:41).

მადრიდი. ესპანეთის ჩემპიონმა — ადგილობრივმა „რეალმა" დაამარცხა ინგლისის „ევენიუ ბი-ბი-სი" — 110:47 (54:16) და გავიდა ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში.

მილანი. ადგილობრივმა „მობილკუატრომ" ვროცლავის „შლიონსკთან" წაგების რევანში აიღო. იტალიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 85:70 და თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ (პირველი შეხვედრა პოლონელებმა 9 ქულით მოიგეს).

• • •

გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების კიდევ ერთი მატჩი ქალთა გუნდების მონაწილეობით.

ბელგრადი. ადგილობრივმა „ვოჟდოვაცმა" მოუგო ბუქარესტის „რაპიდს" — 83:66 (37:30) და მეოთხედფინალში გავიდა.



# ბულგარეთის დედაქალაქში — „ინტერპრესფოტო-72"




სოფიაში გაიხსნა დიდი გამოფენა „ინტერპრესფოტო-72". ხუთივე კონტინენტის 50 ქვეყნის პროგრესულმა ფოტოდოკუმენტალისტებმა დღევანდელი მსოფლიოს ფართო და შთამბეჭდავი პანორამა შექმნეს.

სურათებზე: „გამარჯვება". ამ ფოტოსურათისთვის ვ. ტკაჩენკომ (სსრ კავშირი) ბრინჯაოს მედალი მიიღო სპორტის განყოფილებაში; „ვეტერანები". ამ ნამუშევრისთვის ა. ხომანოვსკის (სსრ კავშირი) პორტრეტების განყოფილებაში ოქროს მედალი ხვდა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

● **ხოში, 16 დეკემბერი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა ამხანაგურმა მატჩმა მხატვრულ ტანვარჯიშში. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა — 144:141. მრავალჭიდის ჯამში საუკეთესო შედეგს მიაღწია ასტრახანელმა ა. ზასუხინამ — 29,15 ქულა. პრიზიორთა სამეულში შევიდნენ, აგრეთვე, მოსკოველი ე. კარპუხინა (29,1) და გერმანელი ე. ბეტგერი (28,95). ზასუხინა საუკეთესო იყო ლენტითა და რგოლით ვარჯიშში (შესაბამისად — 9,7 და 9,8 ქულა). კარპუხინამ ყველას აჯობა ბურთით ვარჯიშში — 9,8.

● **პალმა-დე-მალიორკა, 17 დეკემბერი.** აქ დამთავრებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში I-III ადგილები გაიყვეს კორჩნოიმ, პანომ (არგენტინა) და სმეიკალმა (ჩეხოსლოვაკია) — 10-10 ქულა. ბოლო ტურში ყაიმით დამთავრდა პარტიები: პანო — სმეიკალი და კორჩნოი — პოლუგაევსკი. ასეთივე შედეგით დასრულდა ჰუგის პარტია ანდერსონთან, რომელიც ამაოდ ცდილობდა ლიდერებს დაწევნოდა: შვედ მოჭადრაკეს IV ადგილი ხვდა (9,5 ქულა). ავერბახმა კალვოსთან წააგო და საბოლოოდ, ისევე როგორც პოლუგაევსკიმ და გეორგიუმ (რუმინეთი), 9 ქულა დააგროვა. მათ V-VII ადგილები გაიყვეს. შემდეგ მოდიან: ლიუბოევიჩი — 8,5, ივკოვი (ორივე — იუგოსლავია) — 8, ბილეკი (უნგრეთი), პომარი (ესპანეთი), ჰუგი (შვეიცარია), კალვო (ესპანეთი) — 6-6, რობაჩი (ავსტრია) — 5,5, ბელონი — 5 და მედინა (ორივე — ესპანეთი)—2,5.

● **მეხიკო, 17 დეკემბერი.** მექსიკის დედაქალაქში საერთაშორისო ბლიც-ტურნირით გაიხსნა ჭადრაკის კვირეული. შესანიშნავად ითამაშა 21 წლის ლენინგრადელმა დიდოსტატმა ა. კარპოვმა — მან 12,5 ქულა მოაგროვა 13-დან (ერთადერთი ყაიმი — მექსიკელ გარსიასთან). II ადგილზეა დანიელი ბ. ლარსენი — 11,5, III — პ. კერესი — 11. IV-V ადგილები გაიყვეს ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) და სკოტმა (კანადა).

● **მოსკოვი, 17 დეკემბერი.** აქ დაიწყო ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. გუშინ გამართულ პირველ მატჩში შვეციის ეროვნულმა გუნდმა ანგარიშით 8:1 დაამარცხა ფინეთის ნაკრები, ხოლო დღეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა პოლონელებს სძლიეს — 5:1.

## ფეხბურთი

### ჩემპიონატები, თასები, ლიგები

#### ინგლისი

შაბათს გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმა" ქულა დაკარგა სტუმრად: „იფსვიჩ თაუნთან" ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 1:1.

ისევ წააგო „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელმაც ამჯერად ლონდონში ადგილობრივი „კრისტალ პალასისგან" 5 „მშრალი" ბურთი მიიღო. „კრისტალ პალასი" კი გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა! თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავები რ. ჩარლტონი, ასტონი, ლოუ „მოსუცდნენ", ხოლო ბესტის თავგასულ ჭირვეულობას კლუბის მოთამაშეები და მწვრთნელი ყოველდღიურად მოთმინებიდან გამოჰყავს, ეს წაგება, რომელმაც მანჩესტერელები ბოლოდან მესამე ადგილზე გადაისროლა, ყველასთვის სიურპრიზი იყო.

ლონდონის „არსენალმა" შინ სძლია „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" — 2:1. ლონდონელთაგან გოლები გაიტანეს ბოლმა და რედფორდმა.

„ლიდს იუნაიტედმა" შინ მოუგო „ბირმინგემ-სიტის" — 4:0.

საუკეთესო სნაიპერების სიას სამი მოთამაშე ლიდერობს 15-15 გოლით. ესენი არიან რობსონი („ვესტ ჰემ იუნაიტედი"), პიტერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური") და რიჩი („ვულვერჰემპტონ უონდერერსი").

აი, პირველი ოთხეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 22 | 43:26 | 32 |
| „არსენალი" | 23 | 31:23 | 31 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 22 | 43:24 | 30 |
| „იფსვიჩ თაუნი" | 21 | 28:23 | 25 |

#### შოტლანდია

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — გლაზგოს „სელტიკმა" ძნელ გამარჯვებას მიაღწია სტუმრად I ლიგის დებიუტანტ „არბროთთან". მატჩის ბოლო წუთებამდე „სელტიკი" აგებდა ანგარიშით 0:1, მაგრამ ჰუდმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში და „სელტიკმა" მორიგი 2 ქულა ჩაიწერა — 2:1.

ედინბურგის „ჰიბერნიენმა" ასტრონომიული ანგარიშით სძლია „ეირ იუნაიტედს" — 8:1.

„გლაზგო რეინჯერსისა" და „აბერდინის" თამაში გლაზგოში ფრედ დამთავრდა — 0:0.

ერთი კვირის წინ ლიგის თასის გათამაშების ფინალში „ჰიბერნიენმა" „სელტიკს" აჯობა (2:1), მომავალ შაბათს ეს გუნდები ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს და შოტლანდიელი გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან ამ თამაშს, რომელშიც, საყოველთაო აზრით, „სელტიკმა" რევანში უნდა აიღოს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 15 | 46:15 | 27 |
| „ჰიბერნიენი" | 15 | 41:15 | 23 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 16 | 27:16 | 21 |

#### საფრანგეთი

საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, „ნიცა" შინ ფრეს დასჯერდა მარსელის „ოლიმპიკთან" — 1:1. „ნანტმა" სტუმრად მოუგო „სედანს" — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნიცა" | 17 | 42:19 | 27 |
| „ნანტი" | 17 | 29:16 | 23 |
| „ოლიმპიკი" (მარსელი) | 17 | 31:13 | 21 |

#### პორტუგალია

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ლისაბონის „ბენფიკამ" მოუგო ამავე ქალაქის „ატლეტიკოს" — 2:0.

ლისაბონში ადგილობრივი გუნდების „ბელენენსესისა" და „სპორტინგის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2.

საუკეთესო სნაიპერთა სიას ლიდერობს ეუსებიო („ბენფიკა") — 20 გოლი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 14 | 48:5 | 28 |
| „ბელენენსეში" | 14 | 27:18 | 20 |
| „სპორტინგი" | 13 | 33:14 | 18 |

#### ესპანეთი

გათამაშების XIV ტურის ცენტრალური მატჩი მადრიდში მოეწყო: ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერი „ბარსელონა" და ადგილობრივი „ატლეტიკო". თამაში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:0. გოლები გაიტანეს სალსედომ და ლუისმა.

ბილბაოში ადგილობრივმა „ატლეტიკომ" სძლია ჩემპიონს — მადრიდის „რეალს" — 2:1.

20 ქულით ლიდერობს „ბარსელონა". ბარსელონის „ესპანიოლსა" და მადრიდის „ატლეტიკოს" 19-19 ქულა აქვთ, ხოლო 17 ქულით IV ადგილზეა მადრიდის „რეალი".

#### ბელგია

„ბრიუგემ" შინ მოუგო ბრიუსელის „ანდერლეხტს" — 2:0. „ლიერსმა" სძლია „ბერინგენს" — 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუგე" | 12 | 28:10 | 20 |
| „ლიერსი" | 12 | 21:18 | 16 |
| „რასინგ ვაიტი" (ბრიუს.) | 12 | 23:5 | 15 |

#### იტალია

X ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო კალიარიში, სადაც ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი „მილანს" შეხვდა. სტუმრებმა გაიმარჯვეს — 1:0.

„რომამ" მოუგო ბერგამოს „ატალანტას" — 2:0.

გენუაში ადგილობრივმა „სამპდორიამ" და რომის „ლაციომ" ფრედ ითამაშეს — 0:0.

სნაიპერთა სიას ლიდერობენ რივერა და პრატი (ორივე—„მილანი")—6-6 გოლი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლაციო" | 10 | 12:5 | 16 |
| „მილანი" | 10 | 25:11 | 15 |
| „ინტერი" (მილანი) | 10 | 13:3 | 15 |

#### უნგრეთი

ჩემპიონმა და გათამაშების ლიდერმა „უიპეშტ დოჟამ" შინ მოუგო „ჰონვედს" — 4:0. ორი გოლი გაიტანა ა. დუნაიმ.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა" | 15 | 37:9 | 23 |
| „ფერენცვაროში" | 14 | 28:17 | 19 |
| „ვაშაში" | 14 | 26:17 | 18 |

#### რუმინეთი

ბუქარესტის „სტიაუამ" შინ აჯობა პლოეშტის „პეტროლულს" — 2:1, ხოლო „ბაკეუმ" საკუთარ მინდორზე ასეთივე ანგარიშით სძლია ბუქარესტის „დინამოს".

ჩემპიონმა „არჯესმა" მოუგო ბუქარესტის „რაპიდს" (2:0), მაგრამ მხოლოდ IX ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა" | 14 | 25:12 | 18 |
| „დინამო" | 14 | 21:15 | 17 |
| „ბაკეუ" | 14 | 17:16 | 17 |

(საქ. ინფ.).

• • •



ეს სურათი გადაღებულია ინგლისის შარშანდელი ჩემპიონატის დროს, როცა ლონდონის „ჰაიბერის" 68-ათასიან სტადიონზე ერთმანეთს ხვდებოდნენ წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი — ადგილობრივი „არსენალი" და ლივერპულის „ევერტონი". არსენალელი ჯონ რობერტსი ხელგაშლილი მიფრინავს, ხოლო ერთ-ერთი ლივერპულელი მოთამაშე (ქვემოთ) ცდილობს თავი დააღწიოს მას.

შუაში („არსენალის" ფორმაში — თეთრსახელოიან მაისურში) ჩანს სწორედ ის ჯონ რედფორდი, რომელმაც წლევანდელი გათამაშების ბოლო ტურში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" კარში ერთ-ერთი გოლი გაიტანა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

რედაქტორი შ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04748